ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის 2013 წლის 5 თებერვლის №21 ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი № 2

28 თებერვალი, 2013 წელი ქ. ზესტაფონი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

1) ნუგზარ ქამუშაძე –(კომისიის თავჯდომარე) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელის მოვალეობის შემსრულებელი;

2) ალექსანდრე მახათაძე –(კომისიის თავჯდომარეს მოადგილე) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელის მოადგილე;

3) მალხაზ ლოლაძე - (კომისიის წევრი) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი:

4) ბესიკ ღიბრაძე – (კომისიის მდივანი) ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთ. სპეციალიტი იურიდიულ საკითხებში

5) ვიტალი ჩინჩალაძე – (კომისიის წევრი)საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

საკონკურსო კომისიის აპარატი

ია ჭუმბაძე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთავარი სპეციალისტი

მედეა ნანიტაშვილი საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთავარი სპეციალისტი

დღის წესრიგი:. 2013 წლის 20 თებერვალს გამოცხადებულ №689-ე კონკურსის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავჯდომარემ ნუგზარ ქამუშაძემ, კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა შ.პ.ს. „ზესტაფონპროექტ"-მა.

ამის შემდეგ დალუქული კონვერტი გაიხსნა და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი.

შ.პ.ს. „ზესტაფონპროექტ"-მა წარმოადგინა საკონკურსო წინადადების ფასი 5700 (ხუთიათასშვიდასი) ლარი.

შ.პ.ს. „ზესტაფონპროექტ"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ მოთხოვნებს.

კომისიამ იმსჯელა ერთ-ერთ კომისიის წევრზე, თემურ წიწილაშვილზე რომელიც მონაწილე მეწარმე სუბიექტთან იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში, რომლის საფუძველზე გადაწყვეტილება იქნა მიღებული მის კმისიიდან ამოღების შესახებ.

დაადგინეს;

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. „ზესტაფონპროექტ"-ი.
2. მონაწილე მეწარმე სუბიექტთან ინტერესთა კონფლიქტის გამო კომისიიდან ამოღებული იქნას კომისიის წევრი თემური წიწილაშვილი.
3. ქ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურმა გამოყონ სათანადოდ უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ „შემსყიდველსა" და „მომწოდებელს" შორის ობიექტის მიღება-ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.
4. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს 3 სამუშაო დღეში გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

სატენდერი კომისია

ნუგზარ ქამუშაძე -(კომისიის თავმჯდომარე)

ალექსანდრე მახათაძე –(კომისიის თავჯდომარეს მოადგილე)

ბესიკ ღიბრაძე - (კომისიის მდივანი)

ვიტალი ჩინჩალაძე – (კომისიის წევრი)

მალხაზ ლოლაძე - (კომისიის წევრი)